ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 166
აგვისტოს 6, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 166
აგვისტოს 6, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დღესასწაულის გამო შემდეგი № გამოვა ხუთშაბათს, 8 აგვისტოს.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს ხუთ მანეთად და ათ შაურად (5 მ. 50 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლისა და ს. ბახტაძის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
გორში: ანტონ კასრაძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ქელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—13)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (ნ)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში

(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25%-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა სატანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის
თავმჯდომარე პ. მდივანი
წევრი ვ. კიწმარიშვილი

(10—6.—6) ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

ყოვლად-სამღვდელო დიმიტრის, ალავერდის ეპისკოპოსის, განკარგულებისამებრ

საეკლესიო მუზეუმი ქართველ სამღვდელოებისა

ღიაა

სამშაბათ-ხუთშაბათობით 9—11 ს.

და კვირაობით 10—1 ს.

ვისაც სურს მუზეუმის დათვალიერება სხვა დღეს, კეთილ ინებოს მიჰმართოს მისს გამგეს მ. გ. ჯანაშვილს (კუკია, მინკვიცევის ქ., № 27). (10—388—10)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ ბედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათამდე. კვირაობით 9—10-მდე.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ბრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

გადაყენებულ იქმნა სამსახურიდგან 1869 წ. სამხ. კან. დებ. VII წიგ. 540 მუხ. ძალით, ქვეითა ჯარში ჩარიცხული, დაღესტნის ოლქის, თემირ-ხან-შურის ნაწილის უფროსი პოდპოლკოვნიკი ვახვახიშვილი.

ტფილისი

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის ახლად გარდაცვალებულის წევრის ი. ი. ოპტოვცევის ადგილზედ ინიშნება, როგორც გავიგეთ, ვიტებსკიდან ახლად გადმოყვანილი ამავე პალატის წევრი ბ-ნი მ. გ. გეგიძე.

◆ გუშინ-წინ, 4 აგვისტოს წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავი და საეკკლესიო მუზეუმი დაათვალიერეს პარიჟიდგან ჩამოსულმა მგზავრებმა, რომელნიც 30-მდე იყვნენ. სიძველეთა მნიშვნელობას და მათს ისტორიას მგზავრებს უხსნიდა ბ-ნი პეტრე მირიანაშვილი. მათვე ჰნახეს სიონის ტაძარი, მასში დაცული წმ. ნინოს ჯვარი და ყოველივე სასიამოვნოდ დაურჩათ. აქედგან იგინი გაემგზავრნენ გელათის ტაძრის სანახავად.

◆ საოცარი და თან ფრიად სამწუხარო ამბავი შევიტყეთ: მთავრობამ გადასდო ამას წინად 2,510 მან. ყოველ-წლიურად დუშეთში სამოქალაქო სკოლის დასაარსებლად და შესანახად იმ პირობით, რომ დუშეთის მცხოვრებთ თვითონ უნდა ეკისრნათ საჭირო ადგილის მოპოვება და საჭირო შენობის აგება სკოლისათვის. რადგანაც დუშელებს ეს პირობა არ შეუსრულებიათ, მთავრობას ეს ფული გადაუდვია სკოლის დასაარსებლად სოჭაში, შავის-ზღვის პირად. გასაკვირველია, რა დაემართა დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობას, რომ ნახევარ დღის მამული ან ყიდვით ვერ შეიძინა სკოლისათვის, ან შეწირვით ვერ შესწირა სადმე ქალაქის განაპირას!? ან თვით დუშელ ვაჭრებს როგორ გაუჭირდათ ხუთასიოდე თუმნის გამოღება სკოლის შენობის ასაგებად!?

◆ 8 აგვისტოს ქალაქის გამგეობა გამოაქვეყნებს უკვე საბოლოოდ დამთავრებულსა და დამტკიცებულს სიას ქალაქის ამომრჩევლებისას, რომელთაც ამ შემოდგომაზედ უნდა აირჩიონ ახალი ხმოსნები ტფილისში.

◆ პირველ იანვრიდგან 3 აგვისტომდე ქალაქის კასსაში შემოსულა: დასაფასებელი გარდასახადი—36,988 მ. 18 კ.; ცხენების გარდასახადი—29,989 მ. 50 კ.; მუშა საქონელსა—1.385 მ. 50 კ.; ძაღლების გარდასახადი—974 მ. 60 კ. ტრაქტირის გარდასახადი—14027 მ. 13 კ. ქალაქის საყასბოდან—32,119 მ. 71 კ. სულ ქალაქის კასსაში 3 აგვისტომდე შემოსულა 152,423 მ. 85 კ.

◆ მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, რომ კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებაში აღმოჩნდა ქიმიურად გაუსინჯავი ღორი, რომელიც ქალაქის ლაბორატორიამ უკვე გასინჯა და გამოიკვლია. ამაზედ საეკონომიო საზოგადოების მმართველობამ მიჰმართა ახლა ქალაქის გამგეობას და სთხოვს მიეცეს კოპიოები ყველა იმ ქაღალდებისა, რომელიც-კი შეეხება ამ საქმის წარმოებას; ამ თხოვნაზედ ქალაქის გამგეობამ დაადგინა: მიეცეს საზოგადოებას ყველა ქაღალდის კოპიოები და გარდაჰხდეს ამისათვის საგერბო და საკანცელარიო ხარჯიო.

◆ კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებამ ამ დღეებში დაიჭირა დიდი მაღაზიები და სახლი კიროჩნის ქუჩაზედ, საცავერის ცხენის რკინის გზა უხვევს მიხეილის პროსპექტისაკენ და იქ გადააქვს თავისი საწყობნი და საზოგადოდ თავისი ვაჭრობა.

◆ კვირას, 4 აგვისტოს საზაფხულო „კრუჟოკში“ უნდა დაეკრა ბ-ნ სერბულოვის ორკესტრს ლეკური, ახლად დაწერილი მ. ლ. ჯანდიერის მიერ. ხალხი დიდ-ძალი შეიკრიბა და ყველასთვის დიდად საინტერესოც იყო ამ ლეკურის მოსმენა, მაგრამ წვიმა-ქუხილმა დაუშალა ორკესტრს თვისის განზრახვის ასრულება. ლეკურის დაკვრა გადაიდო ოთხშაბათ საღამომდე.

◆ ტფილისის გუბერნატორისაგან ქალაქის გამგეობას მიუვიდა შემდეგი მიწერილობა: ქალაქს განზრახვა აქვს ნავთლუღის მიდამოში ქალაქის მამულები იჯარით გასცეს და დაასახლოს მცხოვრებნი. საგუბერნიო მმართველობამ არა ერთხელ სთხოვა ქალაქის გამგეობას შეატყობინოს ამ საქმის გარემოება დაწვრილებით, მაგრამ პასუხს ვერ ეღირსეთო. უმორჩილესად ვთხოვ ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება, მალე შემატყობინოს, რა ზომისაა იჯარით გასაცემი ადგილი ქალაქისა ნავთლუღის მიდამოში და რა ღირს ეს ადგილი ქალაქის დაფასებით.

◆ პირველსავე და მეორე ქალაქის ხორცის დუქნების განყოფილებიდამ, ორის დღის განმავლობაში 1 და 2 აგვისტოს გაყიდულა ხორცი 676 მან. 38 კაპ., პირველ განყოფილებაში 299 მან. 57 კაპ. მეორეში 244 მან. 99 კაპ.; ჯიგარი გაყიდულა 89 მან. 47 კაპ., ქონი 44 მან. 8 კაპ.

◆ ქალაქმა უკვე გადასცა გუბერნატორს პროექტი ელექტრონის რკინის გზისა ტფილისში განმარტების წერილითა და ნახატებითურთ. პროექტი უნდა სათანადო მთავრობას წარედგინოს დასამტკიცებლად.

◆ რომელმა ოსმალეთიდან ლტოლვილმა სომეხმაც არ მიიღო ქვეშევრდომობა რუსეთისა, იმან 10 აგვისტომდე უნდა დასტოვოს ტფილისი და წავიდეს უკან ოსმალეთში. თუ არა და ამასთან ლტოლვნილნი მეშჩანთა სიაში იქმნებიან მოქცეულნი პოლიციის მიერ.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიები გაარჩევენ საქმეებს გორში 5—20 სექტემბრამდე, თიონეთში 3—4-მდე, სიღნაღში 10—20-მდე თელავში 24—30-მდე, ახალქალაქს 19—22-მდე, ახალციხეს 24—30-მდე, დუშეთს 3—5 ოქტომბრამდე, ზაქათალაში 9—12-მდე და შულავერში 10—20-მდე.

◆ სომხური ჟურნალი „მურჩი“ შეუძენიათ ბ-ნ კრასილნიკოვისაგან ლ. სარქისიანსა და პოლოსიანცს 16 ათას მანეთად.

◆ 25 სექტემბრისათვის დანიშნულია ტფ. ოლქის სასამართლოში გარჩევა გუმბრის მცხოვრებლის ვალან ბებუროვის საქმისა. ბებუროვს ჰბრალდება მკრეხელობა, რომელიც იმას ჩაუდენია კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიაში.

◆ თ. სვ. ვეზირიშვილის მკვლელი აღმოუჩენიათ. მკვლელი ერთი იმ ხიზანთაგანია თურმე, რომელიც განსვენებულის მამულზედ სცხოვრობდა.

◆ მკითხველებს მოეხსენებათ, რომ 4 აგვისტოსათვის დანიშნული იყო წლიური კრება დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა. რადგანაც კრებას საკმარისი წევრთა რიცხვი არ დაესწრო, ამიტომ კრება გადიდო 11 აგვისტოსათვის. ეს კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ 1 აგვისტოს, 8½ საათზედ, რკინის გზის სახელოსნოების ახლო იპოვეს მოკლული ამ სახელოსნოს ოსტატი ბ-ნი პლატო. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, პლატო ნაჯახით არის მოკლული.

◆ 3 აგვისტოს ელისაბედისა და ქსენიის ქუჩის კუნჭულში საჯაევის სახლის წინ, პოლიციელმა ბონდარევმა იპოვნა მჩვრებში გახვეული ბავშვი; ბავშვს არავითარი ბარათი არ აღმოაჩნდა, გარდა ვერცხლის ჯვრისა. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

◆ 3 ამ თვეს მიხეილის საავადმყოფოში მიიყვანეს 1-ლ გონჩარნის ქუჩაზედ მცხოვრები ემილია ვიტმანი, რომელსაც თავის მოწამვლა განეზრახა და ამ აზრით საწამლავი დაელია.

ჩვენებური ამბები

ს. სუჯუნა (სენაკის მაზრა). ძველად მდიდარი, დღეს-კი ღარიბი სუჯუნა წარმოადგენს სამეგრელოს ერთ იმ კუთხეს, რომელსაც შეუგნია სწავლა-განათლების დიდი მნიშვნელობა. მას აქვს ებრაელ-მეგრელთა სასწავლებელი, სამრევლო სკოლები და უფასო სამკითხველო. სამკითხველოს შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: თუ მას შეიძლება სამკითხველო ვუწოდოთ, მაშინ ყოველი სახლი სამკითხველო იქნება: მასში თქვენ ვერ ჰპოვებთ ყველა იმას, რაც შეადგენს ყოველის სამკითხველოს კუთვნილებას. ოდესღაც ჰქონია რაცალა წიგნები, მაგრამ დღეს-კი სად არის ან სად გაფრენილა ყველა ეს, მხოლოდ ღმერთმა უწყის...

ქ.

—

ფოთი. დაიწყო ქალაქის გამგეობამ ამ წელს პეტერბურგში შემდგარ კომისიის მიერ გადადებული ფულით გზების, (Подъѣздные пути), კეთება: ხილკოვის პროსპექტი და მიხეილის ქუჩა უკვე დასრულდა; ბერძნის ქუჩა ნახევრამდე არის გაკეთებული; მალთაყვის გზაც აგრეთვე დაწყებულია. გზების სიმაღლე თითქმის ნახევარს არშინზე მეტი მოზომეს და მოკირწლეს, თხრილები ამოჰკირეს და ცემენტი მოასხეს. ასე აკეთებენ დანარჩენ გზებსაც. ეს პირველი საქმეა ნავთსადგურის დაწყების შემდეგ

—

მაგრამ ჭაობები და ტბასავით დამდგარი წყლები ქალაქში სამწუხაროდ საკვირლად ბევრია. ყველამ იცის, თუ რა ვნება მოაქვს ამისთანა ადგილებს მცხოვრებთათვის. სხვა რომ არა ვსთქვათ, წყეულმა კოღომ ლამის სისხლი მთლად ამოგვწოვოს, ისე გამრავლდა წლეულს, ამ წლის დამდეგს გაზეთებმა გვაცნობეს: ფოთის ქალაქის გამგეობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე ორი მილიონი მანეთის სესხის აღებას, ქალაქის ჭაობების ამოსაშრობადაო. ღმერთმან ჰქმნას ესეც გვეღირსოს.

—

წელს ქალაქმა საყანთრო გადაიტანა რიონის ნაპირას. საწყალ სოფლელებს თავის ნაწარმოებნი მოაქვთ გასაყიდავად და სანამ ამათ აქ გაასაღებდნენ, რამოდენიმე დღეს სიღარიბის გამო თითქმის ყველა ღამე რიონის ჯებირთან ცას ქვეშ ატარებენ. სამწუხაროდ ქურდ-ბაცაცა ჯიბგირთ ამათთვისაც მოუკრავთ თვალი: გუშინ 30 ამ თვეს ერთს სოფლის საწყალს გლეხს ბაზარში გაეყიდა რაღაც ნაწარმოები და აეღო 34 მანეთამდე. საწყლისთვის უწყალო ჯიბგირს ფული ამოეცალა. ნაშუალამევი იყო, ეს ამბავი გაიგო პირველი ნაწილის პრისტავმა ბატ. ბერიძემ და ფიცხე-

ლი განკარგულებით შეუდგა ქურდის ძებნას და გათენებამდის თოთხმეტი ჯიბგირი და ქურდ-ბაცაცა დაიჭირა.

ნოქართაგანი.

წერილი ნუნისიდგან. ნუნისი მდებარეობს ზემო იმერეთში, რკინის გზის სადგურ მოლითიდგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრივ 7-ის ვერსის მანძილზე.

შემთხვევა მომეცა ვწვეოდი ამ სოფელს და მენახა აქაური აბანოები. ეს აბანოები ეკუთვნის ქართლელ თავადებს ამილახვარს, ერისთავს და სხვას და იჯარით აქვთ აღებული (წლ. 400 მანეთად) ბ-ნ ციციშვილს და ჩხეიძეს. ამბობენ, ეს აბანოები მუნიანს პირუტყვებს არჩენდაო და ამის გამო სახელად მუნისი დაერქვაო და შემდეგ-კი მუნისი ნუნისად გადაკეთდაო.

აღნიშნული აბანოები არის ერთ მაღალ მთის ძირად, ვიწრო ხეობაში, დაბლობ ალაგას. ყოველ მხრივ გარს აკრავს მთის მაღალ-ტყიანი გორები. აბანოს წყლები გამოდის ხუთს ალაგას, სადაც პატარ-პატარა ქვით ნაშენი აუზები აქვთ გაკეთებული, ზომით სიგრძე-სიგანით 2 ალაბი და სიმაღლით 1. ამ პატარა აუზებს ზევიდგან დაფარცახებული აქვს პატარ-პატარა ქოხები, რომლებიც იმდენად პატარაებია, რომ შიგ თავისუფალი ალაგი არ არის კაცმა საცმელი გაიხადოს და დააწყოს. ბ-ნი მოიჯარადრე სამკურნალოდ მოსულებს დღე-ღამეში ახდევინებს თითოს ორ მანათამდე. ქირის მიცემას ვინ იჩივლებდა, თუ ავადმყოფს რიგიანი ბინა მაინც შოვნა და გარეთ არ დარჩენილიყო, რომ ან ნადირმა არ გაჰკრას კბილი და ან მთის ცივმა ჰაერმა უარესი არ დამართოს. წარმოუდგენელია ამასთანავე ის უსუფთაობა და სიბინძურე, რაც აღნიშნულ აბანოების და სადგომ ქოხების გარშემო არის და აყროლებს მთის მშვენიერს ჰაერს. ყველა ამას ზედ ერთვის გზების უვარგისობა; აბანოებიდგან დაწყებული თითქმის მოლითამდე იმდენად გაფუჭებულია გზები, რომ არამც თუ ცხენით და ურმით, ფეხით სიარულიც გასაჭირია და საშიში.

ვერ წარმოიდგენთ, თუ რამდენი ხალხი ეტანება აღნიშნულს აბანოებს, მერე ისიც სხვა-და-სხვა შორეულ კუთხიდგან; აქ შეხვდებით სხვა-და-სხვა სნეულებით ავადმყოფებს და დარწმუნებულნი არიან, რომ აქაური წყალი ყველას მოუხდება. მე-კი მგონია, რომ უმეტესობა სულ ტყუილ-უბრალოდ იხარჯება, რომ აქ მოდის. ძრიელ კარგი იქნებოდა ეს წყლები შეემოწმებინათ და გამოერკვიათ, სახელდობრ, რა და რა სნეულებით ავადმყოფებს ჰკურნავს.

სარწმუნოდ მიმაჩნია, რომ ყოველ ზაფხულობით ბ-ნი მოიჯარადრე 15 მაისიდგან 15 ენკენისთვემდე 4000 მანეთამდე იღებს, თუ არა მეტს და ასე უყურადღებოდ-კი სტოვებს აბანოების უკეთ მოწყობის საქმეს.

იამანიძე.

ქუთაისი. 3 აგვისტოს საღამოზედ შესდგა 16 ხმოსნის თანადასწრებით საბჭოს კრება, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ხმოსნები მამულების დამფასებელ კომისიის კიდევ სამის წევრის ასარჩევად. თუმცა ხმოსნებს ნამცნევი ჰქონდათ, დამატებითი წევრები არიან ასარჩევიო, მათ 3 აგვისტოს კრებაზე კანდიდატები მაინც არ აღმოუჩნდათ და ამის გამო კრება 7-სათვის დანიშნეს. ვნახოთ ახლა მაინც როგორ კაცებს მოჰნახვენ ქალაქისათვის ამ მეტად საპასუხის-მგებლო საქმისათვის.

3 აგვისტოს კრებაზე ახალმა ხმოსანმა ინჟინერმა ფონ-შულცმა მეტად საინტერესო მოხსენება წარმოადგინა. განხილვაც 7 აგვისტოსთვის გადიდვა. მოხსენებაში ეხება ინჟინერ მიხაილოვის მიერ არქიელის გორაზე მილის წყლის უმთავრეს აუზის აშენებას. ინჟინერ-ხმოსანს შულცს მიხაილოვის ნამუშავარი დაუთვალიერებია და ამბობს, რომ იგი განზრახულ გეგმისამებრ არ შენდება, ახალი ნამუშავარი ისე არ არის გამოწყობილი, როგორც მიხაილოვის გეგმა განსაკუთრებულმა სატეხნიკო კომისიამ (რომელშიაც შულციც იყო) გაასწორაო. ბ-ნ შულცს დაწვრილებით აქვს თავისს მოხსენებაში აღნუსხული, რა ნაკლიც ამ თავიდანვე შეუმჩნევია ბ-ნ მიხაილოვის ნამუშევარშიდა, როგორც ხმასანი თხოულობს ქალაქის თვით-მმართველობისაგან, მიაქციოს მან ამ გარემოებას ყურადღება. კრებაზედ 3-ს აგვისტოს ეს საკითხი ბ-ნმა კ. ლორთქიფანიძემ აღძრა. ინჟენერ შულცის მოხსენება მეტად საინტერესოა ახლად დაწყებულ მილის წყლის გაყვანის საქმეში და მის შინაარს შემდეგ გავაცნობთ მკითხველს.

ისო.

ხევი. **საქართველოს ექსარხოსის მოგზაურობა შიგა მთათაში.** მისი მაღალ-ყოვლადუსამღვდელოესობა ექსარხოსი საქართველოსი ალექსი ესტუმრა სოფ. სიონს, სადაც მისმა მეუფებამ დაათვალიერა ღვთის-მშობლის სახელობაზედ თამარ მეფის მიერ აშენებული ძველი დიდი ძვირფასი ტაძარი. მის მეუფებას ახლდნენ: დეკანოზი ვოსტორგოვი, მღვდელი ბ. თოთიბაძე, ადგილობრივი ბლაღოჩინი მღვდელი ნიკ. კანდელაკი. დუშეთის მაზრის უფროსის თანაშემწე ჯორჯაძე და ქვეშეთის ბოქაული ანტონოვი.

მისმა მეუფებამ სოფელ სიონის მკვიდრთაგან მიიღო პურმარილი და მიიბძანდა ეკკლესიაში; ინახულა ორი უძველესი ხატი და მიაქცია მათ წარწერებს ყურადღება. პირველი ხატი ბერძნულის წარწერით „წმიდა გიორგი" და მეორე ჯვარი ქართულის წარწერით „სიონის მღვთაება" *). მღვდლის ზ. კობაიძეს მიერ მცირე ლოცვების ნამოთვლის შემდეგ რამდენჯერმე მგალობლებს შეუერთა მისმა მეუფებამ ქართულად ხმა. შემდეგ გამოსთქვა სურვილი, რომ ეკკლესია შიგნით ბათქაშით იყოს გალესილი და დაავალა სიონელებს გაეწერათ კომლეულად საჭირო ფული და დასძინა, რომ ცოდვა არის, ამისთანა ძვირფასი სიწმინდე მამა-პაპათ თქვენთვის დაუტოვებია და თქვენ-კი ასე გულ-გრილად ეპყრობით. ადგილობრივს მღვდელს მ. ზ. კობაიძეს და მამასახლისს გ. ღუდუშაურს დაავალა, დაუყოვნებლივ შეუდგენ საქმეს და სანამ მისი მეუფება 17-ს მკათათვეს უკან დაბრუნდება ამავე გზით, მუშაობა უკვე დაწყებულიყვეს *).

ბოლოს, მისმა მეუფებამ ბრძანა: რა დამთავრდება მუშაობა ეკკლესიისა, მაცნობეთ და ქალაქიდგან გამოვგზავნი მხატვრებს და მარმარილოს ფიცარს კედელზედ გამოსაფენად, წარწერით—რა დროს და რომელის მეფის მიერ არის აშენებული ეს ეკკლესიაო. მხატრობასა და მარმარილოს ქვას დასჭირდება 500 მანეთი ფული და იმას მთავრობა იკისრებსო *).

ამ საუბარის შემდეგ მისი მეუფება გამოემშვიდობა სიონელებს და გაემგზავრა სოფ. სტეფან-წმიდიდგან, სადამდისაც 12-მა ცხენოსანმა სიონელმა სასოფლო ბაირაღით თავის მამასახლისითურთ გააცილეს. შუა გზაში მის მეუფებას მიეგებნენ პურ-მარილით სნოს სოფლის მკვიდრნი და სთხოვეს მათთანაც მიბრძანებულიყო, მაგრამ, რადგანაც სნოს სამხედრო გზიდამ სამის ვერსტის მანძილით დაშორებული იყო და თანაც საღამოს ჟამი უახლოვდებოდა, მისმა მეუფებამ სნოველებს აღუთქვა დაბრუნების დროს სწვევოდა.

სტეფან-წმინდას ეკკლესიის ბჭესთან დახვდნენ სტეფან-წმიდელები პურ-მარილით და მიესალმნენ ექსარხოსს. მისმა მეუფებამ ინახულა ეკკლესია და ჩვეულებრივის ლოცვების შემდეგ გამობრძანდა გალავანში. ეს ეკკლესია აშენებულია 1809—14 წლებში გაბრიელ ყაზბეგის მიერ; მის გალავანში განისვენებენ ყველა წინაპარნი ყაზბეგებისა და აქვე განისვენებს ჩვენი სახელოვანი მწერალი ალექსანდრე ყაზბეგიც. მისმა მეუფებამ ინატრა, რომ ეს ეკკლესია გადიდდეს, და უჩვენა დენერალ მიხეილ ყაზბეგის ძეგლზედ,—ეს უნდა დაირღვეს და ეკკლესიის საფუძველი იქამდის გამოვიდესო.

ამ ეკკლესიას, ზედვე მახლობლად, აქაურ სტეფან-წმინდის სკოლის შენობაა აგებული. მისმა მეუფებამ დაათვალიერა სკოლის სახლი და ინახულა შეგირდები; გამოსცადა სკოლის მოწაფეები რუსულ-ქართულ ლოცვა-გალობაში და დიდად კმაყოფილი დარჩა, რადგანაც ბავშვები ორივე ენაზედ საკმაოდ მომზადებულნი აღმოჩნდნენ და მრავალ-გზის მასწავლებლებისა და მღვდლის ნ. კანდელაკის მიმართ მადლობა გამოაცხადა ბავშვების ასე კარგად სწავლებისათვის. მასწავლებელი მაქსიმე მარკოზაშვილი წასულიყო ეგზამენების შემდეგ თავის ქვეყანაში და მ. კანდელაკი მოახსენებდა ყველაფერს,—ექსარხოსმა ძალიან მოუწონა ბავშვებს რუსულის ენის ცოდნა. მ. კანდელაკმა მოახსენა მის მეუფებას, რომ დედა-ენის შეობებით ძალიან უადვილდებათ ბავშვებს რუსულის შესწავლაო, და მისმა მეუფებამ ბრძანა „Правда, правда, что безъ родного языка дѣти не не могутъ усвоить иностранный языкъ"; რამდენიმე მოწაფე ექსარხოსმა დააჯილდოვა ფულით და გამოემშვიდობა ყმაწვილებს.

სკოლის ეზოში მდგომს ერს მხიარულად უბრძანა: „молодцы, молодцы, ей Богу, очень хорошо отвѣчали ваши дѣти, спасибо вамъ спасибо!" ეზოს ბჭესთან დახვდა გუნდი წვრილის ქალებისა, რომელთაც, მისმა მეუფებამ მიუალერსა შემდეგის სიტყვით: Ой, бѣдныя, бѣдныя! а вы не знаете по-русски?" ამ ჯგუფში გადარჩენილის მთავარ-დიაკვნის სტეფანე ღუდუშაურის გოგომ, 11—12 წლისამ, უპასუხა, მე ვიციო.

— სად სწავლობ? ჰკითხა მისმა მეუფებამ.

— ტფილისში საეპარქიო დედათა სასწავლებელში, მოახსენა გოგომ.

— ვისის ხარჯით?

— დედის ხარჯითაო.

— მამა ვინა გყავს, ან სად არისო?

— მამა ჩემი დიაკვანი იყო და გარდაიცვალაო.

ექსარხოსმა გოგო გულში ჩაიკრა, დაკოცნა და ფული აჩუქა, და მერე დეკანოზს ვოსტორგოვს დაუძახა: „Послушайте нашу епархіалку" ო (ეკკლესიის და სკოლის დათვალიერებას მისმა მეუფებამ მოანდომა ორი საათი და შემდეგ, კრებულითურთ მიბრძანდა დენერალის გიორგი ყაზბეგის სახლში, სადაც სტეფან-წმინდის სოფელმა ბლაღოჩინის მღვდლის ნ. კანდელაკის და ელისბედ ნიკოლოზის ასულის ყაზბეგის შეტადინებით და შეთაურობით სადილი იყო მომზადებული. სადილის შემდეგ ექსარხოსი ალექსი გაემგზავრა კავკავისკენ.

მის მეუფების მობრძანებამ ორი ხეირი მოგვცა. პირველი—სკოლების მომატება: ყაზბეგის და სნოს სკოლები, ორივე ერთ-კლასიანი, უნდა ორ-კლასიანად გადაკეთდეს, კობში უნდა გაიხსნას ორ-კლასიანი სასწავლებელი და სიონშიაც ერთ-კლასიანი, რომლის გახსნა უკვე დამტკიცებულია სადაც ჯერ არს. ამ ათის წლის წინად მთავრობას თხოვნით თავს ვაბეზრებდით, გაზეთები ხომ ცრემლებით ავავსეთ, რომ ხევში არც ერთი სკოლა არ მოგვეპოვება-თქო, ეხლა-კი, ღვთის იმედით, ოთხი სკოლა გვექნება ამ მცირე ხანში.

მეორე დიდი ხეირი ჩვენთვის ის არის, რომ მისი მეუფება ექსარხოსი თავის თვალით ნახულს საქმეს გულითაც დაერწმუნა და განმეორებით ბრძანა: „თუ არ დედა-ენის საშუალებით, მართალა ძნელი არის ბავშვისათვის უცხო ენის შეთვისებაო".

კალმის-წვერა.

---

*) ამ ჯვარზედ მე მაქვს დაწერილებით ნაამბობი წრევანდელ „ივერიის" ფელეტონში 128 №-ში.

*) მისი მეუფება ამ გზით უკან ტფილისში არ დაბრუნდა.

*) საჭიროა, ამ ფიცარზედ ქართულადაც იქმნეს წარწერა, რადგანაც სიონის სამრევლო მთლად ქართველის ერისა.

რუსეთი

საერო განათლების სამინისტროში მოწვეული იყო კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია საკითხი ახალგაზრდათა უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წეს-რიგის შეცვლის შესახებ; განსახილველი იყო პროექტი სასწავლებელში შესვლის დროს ახალგაზრდათა შეჯიბრების (კონკურსის) მაგიერ საშუალო სასწავლებლის გათავების დროს ეგზამენზედ მიღებულ ნიშნების (ბალლების) შეჯიბრებისა. ამ ახალი წესის შემოღება განზრახულია 1903 წ. შემდგომიდგან. როგორც გაზეთები იუწყება, კომისიას უკვე დაუმთავრებია თავისი შრომა.

— მიმდინარე წლის დამლევს პეტერბურგში მოხდება კრება წარმომადგენლებისა იმ საქველ-მოქმედო საზოგადოებათა, რომელთა დანიშნულება ისაა, რომ ბავშვებს მოსარჩლედ გაუხდეს და სასტიკის მოპყრობისაგან დაიცვას იგინი.

— იუსტიციის მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ საოლქო სასამართლოებისა და სამოსამართლო პალატის პროკურორებმა დაუყოვნებლივ აცნობონ გუბერნატორებს, როდესაც უცხოელებს რუსეთიდგან გაძევება მიესჯებათ ხოლმე.

უცხოეთი

ლონდონი. წინააღმდეგ ცრუპენტელა მკითხავების წინასწარმეტყველებისა—ედუარდ მე-VII-ს არ ეღირსება დაგვირგვინებაო—მეფემ უკვე იკურთხა გვირგვინი, და მისი ერთგულნი ქვეშევრდომნი შვება-ლხენას მიეცენ. მეფე ედუარდი, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც იგი უელსის პრინცად იყო, ყველას უყვარდა—მაღალ საზოგადოებასაც და ხალხსაც; დედოფალი ალექსანდრაც ძალიან უყვარს ყველას, რადგან მეტად სადა ხასიათისაა და გულკეთილი. ყველამ კარგად იცის მისი თავგანწირულობა ავადმყოფთა მოვლა-პატრონობის დროს. იმ ხანებში, როცა მეფის სიცოცხლე სასწორზედ იყო, ხალხს დედოფალი უფრო ებრალებოდა, ვიდრე თვით ავადმყოფი. მართალია, გვირგვინის კურთხევა ისეთის გამოჩენებით არ მოხდარა, როგორც წინად იყო განზრახული—მთელი ქვეყანა გავაკვირვოთო—მაგრამ სამაგიეროდ ნამდვილი საერო დღესასწაულის ხასიათი ჰქონდა.

საფრანგეთი. კლერიკალებთან ბრძოლა ჯერ კიდევ არ დასრულებულა. რა ოინებს არა ხმარობენ იგინი, რომ როგორმე შეაფერხონ მთავრობის განკარგულება. მაგალითად, ბრეტანში, როგორც-კი მოჰკრავენ თვალს ჟანდარმებს, რომელთაც ნაბრძანები აქვსთ სკოლების დახურვა, მოსწავლე ბავშვები და მასწავლებელი ქალები სკოლის კარებში დაიჩოქებენ და ისე ეგებებიან მათ. გროზონში ამ ხერხმა გასჭრა: ჟანდარმები უკანვე გაბრუნდნენ და სკოლა დაუხურავი დასტოვეს. ლანდერნოში ქალებს დაეჩოქნათ სკოლის წინ, იქვე ორიათასამდე კეტებით შეიარაღებულს კაცს მოეყარა თავი. საქმე იმდენად გამწვავდა, რომ უეჭველად სისხლი დაიღვრებოდა, მაგრამ როგორც იყო, მანიფესტანტები დააშოშმინა მათმავე ბელადმა—დეპუტატმა ვილიემ; სკოლის დახურვის შემდეგ ხალხი მისცვივდა ზეინკალს, რომელმაც სკოლის კარები გააღო, და კინაღამ ჩაჰკლა იგი. ვიკონტმა გატინემ კომისარს მიაძახა: „ჩვენი წინაპრები სიმართლისათვის წარბშეუხრელად ადიოდნენ სახრჩობელაზედ; ნუ თუ ჩვენ მათი შვილები არა ვართ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენც შევსძლებთ სიმართლისათვის თავდადებასაო".

— კომბმა ამ დღეებში ლუბე ინახულა; ლაპარაკი ჰქონიათ იმ ზომების შესახებ, რომელსაც აუცილებლად უნდა მიჰმართოს მომავალში მთავრობამ. იუსტიციის მინისტრი თხოულობს სასტიკად დაისაჯონ იგინი, ვინც დახურულ საკონგრეგაციო დაწესებულებიდან მთავრობის ბეჭედს ჩამოჰგლეჯს „ან სხვა რაიმე წინააღმდეგობას გაუწევს პოლიციის კომისარსაო.

— ფინისტერის დეპარტამენტის ზოგიერთს სოფელში მონასტრების წინ ბარრიკადები გაუმართავთ; ჟანდარმების დასახმარებლად ჯარი ბრესტიდან გამოუწვევიათ.

იტალია. გაზეთ „Paris Nouvelles"-ის სიტყვით, პაპას უცნობებია ევროპის ყველა სახელმწიფო კარისათვის, რომ ამიერიდგან ნათესავთა შეუღლების ნებას აღარავის მისცემო.

პაპა ურჩევს კათოლიკე მეფეებს, რომ იგინი არა სამეფო გვარეულობის პრინცებს დაუმოყვრდნენ, რათა ამით გონებრივსა და ფიზიკურს გადაგვარებას აცდნენ; დღეს ყველასთვის ცხადია, რომ ნათესავთა შეუღლებას თითქმის ყოველთვის გადაგვარება მოსდევსო.

პაპა ლევ მე-XIII-ის გადაწყვეტილებას ბევრი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია დასავლეთ ევროპაში, რადგან იქ ხშირი მოვლენაა ნათესავთა შორის ქორწინება, განსაკუთრებით ორლეანის გვარეულობაში.

ბელგია. 8 აგვისტოს (ახ. სტ.), როგორც დეპეშამ უკვე გვამცნო, ბრიუსელში გულის ავადმყოფობით გარდაიცვალა ბურების გენერალი ლუკა მეიერი, რომელიც დრეზდენს მიემგზავრებოდა. ესეც კიდევ ერთი მსხვერპლი ტრანსვაალის ომისა! მხნე და ძლიერი კრიუგერი სრულებით დაუძლურდა; შტეინი მეტად დაავადმყოფდა. ლუკა მეიერის მოულოდნელი სიკვდილიც ხომ იმის წყალობაა, რომ ომის დროს ათასი ვაი-ვაგლახი გადახდა თავსა.

მეიერი არ იყო ისეთი შესანიშნავი სარდალი, როგორც ბოტა, დელარეი, დევეტი და სხ., რომელთაც მთელი ქვეყანა გახცვიფრებაში მოიყვანეს თავის ნიჭითა და სიმამაცით. ომის დაწყებიდგან მის გათავებამდე მეიერს მაინცა და მაინც დიდს ყურადღებას არ აქცევდნენ, რადგან იგი ამხანაგებს ბევრში არ ეთანხმებოდა და სრულებით განკერძოებით მოქმედებდა. ერთს დროს მის მოქმედებას ეჭვის თვალითაც უყურებდნენ; მაგრამ ყოველივე ეს მომავალში გამოაშკარავდება. ის-კი ყველასათვის ცხადია, რომ დიდი სივაჟკაცე და გამბედაობა გამოიჩინა, როდესაც ბურები 1899 წელს ნატალის ოლქს შეესივნენ. პირველად მან მიიყვანა მზვერავი რაზმი ტუგელას. ისიც ვიცით, რომ მეიერი ბელადობდა იმ რაზმს, რომელსაც გენერალ კრონიე ტყვეობიდან უნდა გაენთავისუფლებია. მას შემდეგ ომის დასრულებამდე მისწყდა ხმა მეიერის შესახებ, მაგრამ სწორედ ომის გათავების წინა ხანებში ლუკა მეიერი ისევ გამოჩნდა ბრძოლის ველზედ ძლიერის მხედრობით.

ჯერ ისევ ომის დროს დასჩემდა მეიერს გულის ავადმყოფობა. ახლა ბრიუსელში კიდევ გაუმწვავდა და ისე ძლიერაც, რომ საბრალო წუთი სოფელსაც გამოასალმა. ექიმმა ვერავითარი დახმარება ვეღარ აღმოუჩინა. სიკვდილის დროს მასთან იყვნენ მისი ქალი პირველი ცოლიდგან და ბოტას მეუღლე. ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი, სად დაასაფლაონ მისი გვამი: ბრიუსელში თუ პარიჟში. ნეაპოლიდგან დასაფლავებას დაესწრება სტატს-სეკრეტარი რეიცი.

გაზ. „Loc. Anz."-ის კორესპონდენტი ირწმუნება, ის ხმები, ვითომც კრიუგერსა და მეიერს შორის მეტად უსიამოვნო ლაპარაკი მოხდაო და იმან გამოასალმა წუთი სოფელს ისედაც დასნეულებული კაცი, ყოველ სიმართლეს მოკლებულიაო.

საბერძნეთი. „Figaro"-ს სტამბოლელი კორესპონდენტი უწყებს, საბერძნეთის ბატონიშვილი გიორგი თავისას არ იშლისო და განუწყვეტელი მიწერ-მოწერა აქვს ევროპიელ სახელმწიფოებთანაო. მაგალ. აგვისტოს 6 (ახ. სტ. ბატონიშვილი ბეჯითად სთხოვდა უცხო სახელმწიფოებს, კუნძული კრიტი უეჭველად უნდა შეუერთდეს საბერძნეთსაო; მაგრამ 7 აგვისტოს ეს საკითხი, ცოტა არ იყოს, შეიცვალა და ეხლა, როგორც ეტყობა, დროებით მაინც თვით გიორგიმ უარჰყო თავისი პროექტი, რომელსაც ამდენი ხანია არ ეღირსა განხორციელება.

რადგან ევროპის სახელმწიფოებმა შეუთვალეს მას, ჩვენ მხარს დავუჭერთ ყოველს შენს მოთხოვნილებას, რომელიც-კი კრიტის მკვიდრთა საკეთილ-დღეოდ იქმნება მიმართული, გიორგიმ სპეციალურის ნოტით მიჰმართა სახელმწიფოებს და სთხოვა მათ:

1) კრიტელებს, რომელნიც ოსმალეთში დამკვიდრებულან, პირდაპირი მფარველობა გაუწიონ იმ სახელმწიფოებმა, რომელნიც კუნძ. კრიტს მფარველობენ; იგინი უნდა ექვემდებარებოდნენ ზემოხსენებულ სახელმწიფოთა საკონსულოებს.

2) კრიტს საკუთარი ბაირაღი უნდა ექმნეს და ოსმალეთმაც უნდა მიიღოს იგი.

3) გაანთავისუფლოს ოსმალეთმა ყველა ის კრიტელი პოლიტიკური დამნაშავენი, რომელნიც ოსმალეთის საპყრობილეში არიან დატუსაღებულნი.

4) კრიტის მთავრობას მიენიჭოს უფლება თავის ნავთ-სადგურეში გადასახადის გაწერისა და იმ თანხის განაწილებისა საზოგადო საჭირო საქმეებზედ.

5) კრიტი მიღებულ იქმნეს საერთაშორისო საფოსტო კავშირში.

6) ნება მიეცეს კრიტის მთავრობას სესხის აღებისა სახელმწიფოების თავმდებობით კუნძულის სხვა-და-სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

7) კრიტის ფული მიღებულ იქმნეს საერთაშორისო ფულის კავშირისაგან.

8) ხონთქარმა ოფიციალურ პირად აღიაროს ბატონიშვილი გიორგი.

როგორც გაიგო ოსმალეთის მთავრობამ ამ ნოტის ამბავი, მაშინვე მისწერა თავის ელჩებს, დაწვრილებით შეიტყვეთ და მაცნობეთ, რა განზრახვასაც დაადგებიან მადაური დიპლომატნიო, რომ ჩვენც იმის-და მიხედვით მოვამზადოთ პასუხიო.

„Figaro" კორესპონდენტს ლაპარაკი ჰქონია ილდიზ-კიოსკში ერთს მაღალ საზოგადოების წარმომადგენელთან, რომელსაც განუცხადებია, ხონთქარმა მიიღო სახელმწიფოებიდგან ოფიციალური ცნობა, რომ status quo დაცულ იქმნებაო, და ეხლა იგი არაფერს არ დაუთმობს კრიტსაო.

სხვა-და-სხვა წერილები

„შავის-ქვის ბურჯი და სვეტი"

(ზოგიერთის პუბლიცისტის საყურადღებოდ)

(დასასრული *)

II

ამ გვარად ბ-ნ სვ. ქვარიანის წერილის პირველი თავი სავსეა ცილის წამებით, მტკნარის ბავშურის... მოკლე-ფეხიანის სიცრუით.

ხოლო მეორე და მესამე თავი ბ-ნ ქვარიანის ბრალდებისა „მე"-თი იწყება და „მე"-თივე თავდება. ტყუილა-კი არ ბრძანდება პოეტი. პოეტი ხომ ყოველთვის მაღალის ინდივიდუალურის გრძნობების გამომხატველია. ერთგვარი ჯურის პოეტები ხომ თავისს პირადობას ჰხედავენ და ჰგრძნობენ ყველგან; მის დიდებულ პირადობასთან შედარებით ყველა ქიაა და მატლი. რამდენად ამ გვარი მედიდურობა მომხიბლავია ბაირონებში, იმდენად იგი უბადრუკია და სასაცილო მობაირონე პოეტებში, რომელთა შორისაც ჩვენი ბ-ნი სვ. ქვარიანიცა ბრძანდება.

„იმან განიზრახა, მტკიცე (?) სინდიკატი დაეარსებია ¹) და დაეკავებია კავშირი პირდაპირ ევროპიელებთან; რათა მით გავეშორებინეთ ჩარჩ ექსპორტიორ-კომისიონერთა ვიდრას, რომელიც წურბელივით სწოვს სისხლს ქართველ მუშა-მრეწველს".

კი, ბატონო, მაგრამ ბ-ნ ქვარიანს თუ დავუჯერეთ. ჭიათურაში ისეთი რამ არ დაარსებულა და არ დაწყებულა, რომელიც მას არ განეზრახოს პირველად და მას არ ჩაეყაროს ამ დაწყებულების საძირკველი. ბ-ნ ქვარიანს უთუოდ ჩაეწვეთება თუ არა რამე ყურში, მაშინვე წამოვარდება და თავისს პროექტს გამოაცხობს და ჩაწვეთებულს (და ვერ გაგებულს) თავისად ასაღებს.

აი, თუ გნებავთ, ჭიათურის ბანკი, რომ ჰკითხოთ ბ-ნ ქვარიანს, ესეც იმის დაარსებულია, მისი ინიციატივაა, მისი საქმეა და ამ საქმესაც ვიღაებმაც (ე. ი. იმათვე, რომელნიც სინდიკატის საქმეს უდგიან თავში), მოაშორეს „ეს სასარგებლო კაცი" ²).

---

*) იხ. „ივერია" № 164.

¹) „სინდიკატის დაარსებას" და „ევროპიელებთან პირდაპირ კავშირს" რაც შეეხება, მაგაზედ ლაპარაკი და დასაბუთებული მსჯელობა ბ-ნმა გ. ზდანოვიჩმა აღძრა 1896 და 1897 წელს მომხდარ მრეწველთა კრებაზედ და მთელი მოხსენებაც წარადგინა ამ საგნის შესახებ. ავტ.

²) ბ-ნ ქვარიანის „მანია გრანდიოზას" ნიმუშად არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ ის განცხადება, რომლითაც მიჰმართა ჭიათურის ბანკის დამფუძნებელთ და რომელიც ინახება ბანკის საქმეებში:

„Всѣмъ Вамъ извѣстно, господа", სწერს ბ-ნი ქვარიანი ამ საისტორიო განცხადებაში: „кто инициаторъ (?!) открытія Чіатурскаго Банка, ни кто иной, какъ пишущій эти строки (ბ-ნი სვ. ქვარიანი). Да, вынужденъ сказать, что именно я первый возбудилъ этотъ вопросъ на 3-емъ съѣздѣ (ибо совѣтъ и не думалъ включать его въ программу съѣзда); я первый истребовалъ снестись съ г. Министромъ програм-

ეროვნული

ბანკის დაარსება ისეთივე ინიციატივაა მისი, როგორც სინდიკატი. აქაც უთუოდ სხვისი ნათქვამი ჩაეწვეთა ყურში და ბ-ნ ქვარიანიც ჩვეულებრივად წამოვარდა. მრეწველთათვის იაფის კრედიტის საჭიროებაზედ ბ-ნმა ზდანოვიჩმა ალძრა ლაპარაკი მრეწველთა პირველ და მეორე კრებაზედ და ვრცელი დასაბუთებული მოხსენებაც წარადგინა, ხოლო მესამე კრებაზედ, როცა აღიძრა ლაპარაკი საკრედიტო დაწესებულების შესახებ ჭიათურაში, ბ-ნ ქვარიანს ერთი სიტყვაც არ წამოცდენია საგნის განსამარტებლად და მხოლოდ თ. პ. თუმანიშვილმა იხსნა გაჭირვებისაგან. საინტერესო-კი იქნებოდა ბ-ნ ქვარიანის წინადადება რა ტიპის საკრედიტო დაწესებულებას აირჩევდა? სასაცილო-კია მისი მათემატიკის ცოდნით ბანკებს ეპოტინებოდე.

მით უფრო სასაცილოა, რომ ესდენ დევნილ ბ-ნ ქვარიანს „დაუყენებია ეს საქმე ყოველ პარტიაზედ მაღლა, მიუწვევია მოწინააღმდეგენი, გაუცვნია საქმე (მათთვის), აურჩევია ისინიც კომისსიაში, დაუწყიათ საერთოდ მუშაობა“... „გვეგონა“, განაგრძობს ჩვენი მტრედივით უმანკო პოეტი, „თუ ისინიც გაიმსჭვალებოდნენ საერთო ინტერესით და საქმის სიყვარულით, გვეგონა, თუ უფრო გონივრული და კეთილ-შობილური მოსაზრებანი დაავიწყებდა მათ პირად შურსა და მტრობას“.

რით ხელმძღვანელობდა გონიერი და უგონიერესი ბურჯი, „ინიციატორი და მუშაკი“ „შავი-ქვის“ საქმეებისა, რომ ამ საქმეში მოიწვია ისეთი კაცნი, რომელნიც ქვეყნის მტრად აღიარა მარგანეცის მრეწველთა უკანასკნელ კრებაზედ, რომელმაც „სიზმარეთში“ მკრებელის ქორების გავრცელებით იშოვა მომხრენი და საჯაროდ გაკიცხვა გამოუცხადა პატივცემულ მოღვაწეს?

რით ხელმძღვანელობდა ჩვენი პოეტი, რომ კიდევ იმ კაცებს იწვევდა საქმეში, რომელთაც მის წინააღმდეგ, „საიდუმლო მოსაზრებით და ოინებით აღჭურვილებად“ სახავდა, როგორც სჩანს ზემორე მოყვანილის განცხადებიდან? ეს განცხადება ხომ იმავე დროს არის დაწერილი, რა დროსაც საორგანიზაციო კომისსიამ დაიწყო მოქმედება?

კარგი, ვსთქვათ, ბ-ნი ქვარიანი იმდენად სულგრძელი ბრძანდება, რომ მოიწვია ეს კაცები კომისსიაში, მაგრამ ერთი მათგანი და უმთავრესი ბ-ნი ზდანოვიჩი რატომღა აირჩია თავმჯდომარედ და საქმის გამგედ? ნუ-თუ ესდენ დიდია და უსაზღვრო პოეტის გულუბრყვილობა და სულგრძელობა?

არა, ასეთს ყოყოჩობას რომ გასავალი ჰქონდეს, ბ-ნს სვ. ქვარიანს რაღა უჭირდა. ეს ყოველივე სასაცილო მედიდურებაა. ბ-ნი სვ. ქვარიანი თვითონ როგორც „მეტიჩარა“, არა „მკითხე მოამბე“ ჩაეჩხირა საქმეში, იხარგებლა-რა ჩვენის ხალხის „თავაზიანობით, მოთმინებითა და ხათრიანობით“ და მოინდომა შექმნილიყო „хозяиномъ положенія“.

ბ-ნ ზდანოვიჩს სვ. ქვარიანის რეკომენდაცია თუ აზარალებდა, თორემ არას მოუხდებოდა. ხალხი მას მიენდო, როგორც საქმეში გამოცდილს, თავოსანსა და ენერგიულ კაცს. არა, თვით ბ-ნი სვ. ქვარიანი აეკვიატა ბ-ნს ზდანოვიჩს და ბ-ნმა ზდანოვიჩმაც ეს აკვიატება მოითმინა და, აჰა, დღეს ნახა ბ-ნმა ზდანოვიჩმა ნაყოფი თვისის „თავაზიანობისა, მოთმინებისა და ხათრიანობისა“. ბ-ნ ზდანოვიჩზედ ხშირად საყვედურს ამბობდნენ, რომ მოითმინა ასეთს სერიოზულ საქმეში ბ-ნ სვ. ქვარიანის ჩაჩხირება, და მდივნობაც-კი დააკისრა. არა ერთხელ გაგვიგონია მრეწველთაგან ირონიულად მოხსენება იმ საქმისა, რომელშიაც ბ-ნი სვ. ქვარიანი ურევია. ასე გახლდათ ნამდვილი მდგომარეობა საქმისა, ხოლო ბ-ნ ქვარიანს-კი თავისი მუზა „აღორებს“, მდაბიურად რომ ვსთქვათ და სულ სხვაგვარად ახვენებს საქმეს.

ბ-ნ სვ. ქვარიანს ვერ მოუნელებია, რომ ის „სასარგებლო ადამიანი, ინიციატორი და მუშაკი მოიშორეს თავიდან“. ამას არა ერთხელ იმეორებს; ვინ მოაშორა საქმეს? იმ რწმუნებულთა კრებამ, რომელსაც 19 კაციდგან 17 დაესწრო და რომელთაგან ერთმაც არ დაასახელა ბ-ნი ქვარიანი არც „წევრათ“ და არც „მდივნათ“, და ამას თითქო ისიც დაეთანხმაო, ოქმზედ მისი ხელის მოწერა მაინც სიამოვნებით თანხმობის გამომხატველია. ეჭვი არ არის, კიდევ არ ეგონა, თუ მთლად „მოიშორეს თავიდან“, კიდევ ელოდა გამგეობაში მაინც ჩავდგებიო,[3] ხოლო როცა ეს იმედები მოესპო, მაშინ დაიყარა ნაცარი თავზედ და მოჰყვა გულში მუშტის ცემას და ცრემლების ფრქვევას: „ეს არის ჩემი **ზნეობრივი მოვალეობა** (კურსივი პოეტისაა) ამიერიდგან გაჩუმება და გულ-ხელ დაკრეფილი ცქერა არ შემიძლია“. რატომ მაშინ არ გაახსენდა დალოცვილს ცრემლების ფრქვევა, როცა მისივე სიტყვით: „გაიყვეს ვითომ და ჯილდოდ ხალხის ფული 7000 მანეთი“, როცა ამ ფულის „львиная доля“ (1,300 მ.) ერგო თვით პოეტს. რატომ მაშინ არ იცემდა გულში სინანულის ხელს და რატომ მაშინ არ დაიყარა თავზედ ნაცარი (თვალებშიაც უნდა ჩაეყარა), როცა „წაუკითხეს (ჩვენ წავუკითხეთ) ჭიათურის კრებაზედ ერთი პირობა, შემდეგ მათისავე ნებით (ჩვენისავე ნებითო) შესცვალეს უმთავრესი მუხლები და ასე შეცვლილზედ ძალის-ძალად მოაწერინეს ხელი (მოვაწერინეთო) ჯგუფების წარმომადგენელთ“[4].

აბა, კაცს რომ ეჭიშნიკებოდეს ბ-ნ ქვარიანის გონება, როგორ არა სთქვას, რომ ბ-ნი ქვარიანი განზრახ ითმენდა ყოველსავე ზემოხსენებულ ბოროტ-მოქმედებას, იმიტომ რომ ელოდა „რაღაცას“ და, როცა ეს იმედები გაუცრუვდა, გაჯავრდა და გადმოანთხია ნაღველი, რომლითაც ყველაზედ უწინ თავის თავი დაახრჩო.

ბ-ნი ქვარიანი ტყუილად იდგამს თავზედ „წამებულის ეკლის გვირგვინს“ და ტყუილად ჩემობს „მარიამ მაგდალინელობას“; „ტყუილად უნდა წამოსკუპდეს მისთვის შეუფერებელ ადგილს და მერე თეატრალურის მიხვრა-მოხვრით გავლენა იქონიოს ხალხზედ. ბ-ნი ქვარიანი თავიდან მოიშორა საქმის კანონიერმა და ფატალურმა მსვლელობამ და ამ ულმობელმა მსვლელობამ მოიქცია ქვეშ ბ-ნი ქვარიანის მერანი მხედრითურთ, თორემ ჩვენ რომ ჩვენების „თავაზიანობა, მოთმინება და ხათრიანობა“ ვიცით და ბ-ნ ქვარიანის მეტიჩრობა, ძნელი მოსაშორებელი იყო იგი თავიდან. აბა, სიცილი როგორ არ გამოიწვიოს ასეთმა მეტიჩრობამ. „მანგან-სინდიკატის წარმომადგენელზედ, ეჭვი არაა, მეტად ცუდად იმოქმედებდა“ ის ლამაზი საქციელი ამ ვაჟბატონებისა, რომ „საქმეს მოგვაშორესო“. ოჰ, ნეტავ იცოდეს ბ-ნმა ქვარიანმა მანგან-სინდიკატის წარმომადგენელის აზრი მის შესახებ. ჰაერში რომ არ დანავარდობდეს პოეტი და ხანდისხან მიწაზედაც გაივლიდეს, გაიგებდა, რომ მანგან-სინდიკატის წარმომადგენელი ვერ არის მის შესახებ კარგის აზრისა.

აბა, ბიაბრუდ არა ჰხდის საზოგადოებას ბ-ნი სვ. ქვარიანი, როცა არწმუნებს: „ჩვენ არ გვსურდა ავსულიყავით ჭიათურაში და აგვეღელვებია მრეწველნიო“. ვინ არ იცის და ვინ ვერ გაიგებს, რომ ჭიათურაში კიდევაც ბრძანდებოდა, კიდევაც დაიბარა მრეწველები „ასაღელვებლად“, მაგრამ იმ სახლის პატრონმა, სადა „მიტინგი“ იყო გამოცხადებული, დანიშნულ დროზედ კარები ჩაუკეტა და ბ-ნი ქვარიანი წაბრძანდა, ვით საარაკო სვინა. აბა, ვინ არ იცის და ვინ ვერ გაიგებს, რომ ბ-ნი ქვარიანი სწორედ სხვა-დასხვა ოინებით სცდილობდა მე 11-ე მუხლის ძალით[5] კრების მოწვევას, მაგრამ ექსიოდე ხელის-მომწერი თუ იშოვა, და იმათგანმაც ზოგიერმა განაცხადა, არ ვიცოდით, რაზედ გვაწერინებდა ხელსაო. ოინები ამასა ჰქვიან, აი!

მოდი და ნუ გაგვეცინოს ბ-ნ ქვარიანის კვეხნა „მოგვცეს ვექილობა და ვექსილები, გამოგვიცხადეს სრული ნდობა“. ბ-ნმა ქვარიანმა ვერ შეადგინა ვერც ერთი ჯგუფი, რადგან ვერ იშოვა კაცები, „რომლებსაც მიეცათ მისთვის ვექილობა და ვექსილები“, გამოეცხადებინოს მისთვის „სრული ნდობა“. რაიცა ვექსილებს შეეხება, ჩვენ-კი ვიცით, რომ არსებობს ამხანაგობის გარდაწყვეტილება, ვექსილები ბ-ნ ზდანოვიჩის სახელზედ უნდა იყოსო და ბ-ნ ქვარიანის შესახებ-კი-არა ვიცით-რა, გარდა იმისა, რომ საორგანიზაციო კომისიის გაუქმების დროს 17 წარმომადგენლიდან ერთმა კაცმაც-კი არ დაასახელა იგი არც „წევრად“ და არც „მდივნად“.

ბ-ნი ქვარიანი ტყვილა აშინებს ხალხს და ტყვილა ჰფიქრობს ამ ხერხით „ააღელვოს“ ხალხი და მით ისარგებლოს. საქმე, ზევიდაც მოვიხსენიეთ, მტკიცე ნიადაგზეა დამყარებული და მას არა შეუძლის რა ხელს, თუ არ ბ-ნ სვ. ქვარიანისთანა „ხალხის“ ერთგული „პოეტები“ და ჩვენის ხალხის სულწასულობა, რომელიც დღევანდელ კვერცხს (თუგინდ ლაყესაც) ხვალინდელ ქათამს ამჯობინებს.

საუბედუროდ ჩვენდა, ყველაფერში დაქვეითებული და დაბეჩავებულები ვართ. აბა, მიჩვენეთ ისეთი კუთხე კერძო და საზოგადო ცხოვრებისა, სადაც თავი გამოგვეჩინოს. ყოველ სფერაში ვიჩენთ ჩვენს დაკნინებას და გადაგვარებას. როგორც სხვა საქმეში, ისე ვაჭრობაშიც დაცემული ვართ. ჩვენ არ გვაქვს არავითარი კომერციული გაწვრთნა და გამოცდილება და არცა გვაქვს არავითარი უნარი ვაჭრობისა. ჩვენ მეზობელ ხალხს ქიშპობის მაგიერ, იმაში მაინც წაჰბაძავდეს ის, ვინც ვაჭრობის გზას ადგია.

ევროპიელი ექსპლოატატორი საზოგადოდ ყველა არა ევროპიელს ისეთ ხალხად, ისეთ ბარბაროსად სთვლის, რომ მათთან რიგიანის კომერციულის კავშირის დაკავება მეტად მიაჩნია. ამ დღეში ვართ ჩვენც. თავის დღეში ევროპიელი ევროპიელს ისე უპიროდ, ისე უწესოდ არ მოექცევა, როგორც ჩვენ. უბრალოზრდილობიანი მოქცევაც-კი არ გვეღირსა მათგან.

ჩვენც ვერაფერი ვერ გაგვიგია, რა ხდება ჩვენს გარეშემო. ავყოლილვართ ბ-ნ ქვარიანისთანა პოეტების ლათაიებს და ვიღუპებით.

აბა, ჩვენის ხალხის უმეცრებით არ სარგებლობს ბ-ნი ქვარიანი, როცა ასეთს ლათაიებს ამბობს? (ეხლა ეს "მოდნური ლათაიებია") ე. ი. ახალ-მოდურ „დანოსებს“ აცხობს ხალხთან: „ის სამი ბატონი ჭიათურის მრეწველთ რიცხავს ბრიყვად და ბავშად და ჰგონია, რომ მრეწველნი თავიანთ უმეცრებით დირექტორებად აირჩევენ ვიღაც ოხრებსაო. მაგრამ ჩვენ ასე არ ვამცირებთ ხალხის სინდისს და კეთილ გონივრებას“. აი „კალისტრატური“—უკაცრაოდ „ჩვენებური დემოკრატული“ ლაქუცი გამგეობის სავარძლისა. ჩვენ ვერ ვიტყვით იმას, რომ ხალხი, და ჩვენი ხალხი, ძალიან გამოუცდელი, გაუწვრთნელი არ იყოს ყველაფერში და მით უფრო, ვაჭრობაში, რომელიც მისთვის ახალი ხილია. ჩვენებურის ხალხის უცოდინარობითა და გამოუცდელობით დაიკარგა ამდენი სიმდიდრე მარგანეცისა, რომელიც ეს ოცი წელია ბარბაროსულის ექსპლოატაციის საგანია და რომლისგანაც არც ერთ ჩვენებურს ხეირიანად არ უსარგებლნია. ჩვენებური ხალხი დროთა ვითარებისა და ისტორიულ გარემოების გამო მრავალის ისეთის ნაკლულევანებით არის აღსავსე, რომელიც აფერხებს საზოგადოდ ჩვენს ყოველსავე საქმეს. და ჩვენ იმას-კი არ უნდა ვეცადოთ, ხალხს პირში ლაქუცით გამოვსტყუოთ რამე, უნდა გულახდილად აღვიაროთ მათი ნაკლულევანება, თუ გინდ ჯვარს გვაცვან. ეს იქნება საქმისა და მომავალის სამსახური და არა რომელისამე ადგილის.

რაიცა შეეხება იმ ვაჟბატონებს და მათ ამალას, თავის დღეში ხალხი უდიერად არ მოუხსენებიათ. ეგ „ცრუ დანოსია“. ხოლო ბ-ნმა ქვარიანმა-კი მთელი წერილი მათის უმართლო შეურაცხყოფით აავსო. „ვინ გაიყო ხალხის ფული (7,000 მ.), ვითომდა ჯილდოდ“? ხალხის ამორჩეულმა ვექილებმა, ჯგუფების წარმომადგენლებმა, ბ-ნ ქვარიანისავე სიტყვით.

ვინ წაუკითხა ხალხს ერთი პირობა და მერე შეცვლილზედ ძალით მოაწერინა ხელი? —ისევ იმავე წარმომადგენლებმა, რომელთაც მიენდო ხალხი, ეს წარმომადგენლები ისეთი ბალღები აღმოჩნდნენ, რომ „ძალით მოაწერეს“ შეცვლილ პირობაზედ ხელი.—ამაშიაც ბ-ნი სვ. ქვარიანი გვარწმუნებს, ვინ ჩააბა ხალხს „ღვლერჭი კისერში“[6]—იმავე წარმომადგენლებმა, ხალხისაგან არჩეულებმა, და ერთი მათგანიც არ გამოჩნდა, რომ დროზედ კრინტი დაეძრა ამდენის ბოროტ-მოქმედების გამო—ასე გვაჯერებს ბ-ნი სვ. ქვარიანი.—ამას არა სჯერდება ბ-ნი ქვარიანი და გვეფიცება: „ხალხი განსაკუთრებით მე მომენდო, მათი შეკოწვის მიზეზი სამწუხაროდ (ოჰ, ოჰ) უმთავრესად შევიქენი მეო“.

ამაზედ მეტი-ღა შეურაცხყოფა ხალხისა კიდევ შესაძლოა? ორასმა მრეწველმა თუ ბ-ნ ქვარიანის მეტი სანდო კაცი ვერ იშოვნა, და ისიც ისე ბრმად მიენდო, რომ ღვლერჭი ჩააბა კისერში—დიდი საქებარი საქმე ჩაუდენიათ.

ყველა ამას ბრძანებს ბ-ნი ქვარიანი და ამის შემდეგ კიდევ სხვას უკიჟინებს, „მრეწველების ბრიყვად და ბავშვებად ჩარიცხვას“?!

ბ-ნი სვ. ქვარიანი გვარწმუნებს, რომ მრეწველები, რომლებიც საქმით ისე შეაქო ზემოდ და რომელთაც სიტყვით-კი ფიანდაზად ეგება: **„არ დააყენენ საქმის სათავეში ვიღაც ჩარჩებს და ავანტიურისტებს, არამედ აირჩევენ ჭეშმარიტად პატიოსან, შეგნებულ, ფხიზელ და საქმის მცოდნე პირთაო“**.

დღეს-კი ჰგავს, საქმის სათავეში სდგანან ვიღაც ჩარჩები, ავანტიურისტები და არა ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული და სხვ.?“ ვითომ, რატომაო. საქმეს სათავეში უდგია წესდების ძალით გამგეობის დროებით წარმომადგენელი ბ-ნი ზდანოვიჩი და საბჭო, რომელიც შესდგება ჯგუფების წარმომადგენელთაგან. იმავე ხალხმა არ აირჩია ეს კაცები? ეს, იტყვის ბ-ნი ქვარიანი, ჩემი ბრალია, მე შევიყვანე შეცდომაში ხალხიო. კი, მაგრამ ის „სანეტარო კრებაც“, რომელსაც ელის ბ-ნი ქვარიანი, ვით სვიმეონ მოხუცი მესსიას, ის კრებაც ხომ ბ-ნ ქვარიანის გარეშე არ მოხდება, რადგან მას „ენდობა განსაკუთრებით ხალხი და სხ.“ და როგორღა დავიჯეროთ, რომ ბ-ნი ქვარიანი ისევ არ შეაცდენს მაზედ მინდობილს ხალხს, ანა და შეიძლება საქმეს თავში უდგიან ეხლაც არა „ჩარჩები და ავანტიურისტები“, არამედ „ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული“ და სხვა? არა მგონია, ბ-ნი ქვარიანი ამაზედ დაგვეთანხმოს. მისის აზრით, „ჭეშმარიტად პატიოსანი, შეგნებული და საქმის მცოდნე პირი“ ის არის, ვინც საზოგადო ფულს განზრახ უკანონოდ ჰფლანგავს: ვინც საზოგადოებას ერთ პირობას უკითხავს და მის წარმომადგენლებს განზრახ შეცვლილზედ ძალით აწერინებს ხელს. ვინც „ღვლერჭს“ აბამს და ვალებში ჰბანდავს ხალხს“ და ვინც განზრახ „ვიღაც ავანტიურისტებისა და ჩარჩების“ ხელში ჰყრის და ყოველსავე ამას შვრება იმიტომ, რომ გამოელის „ციურ მანანას“, ხოლო როცა ეს აღარ აღსრულდება, დაიწყებს გულში ხელის ბრაგუნს და ხმა მაღლა სინანულის მოთქმას.

მადლობა უფალსა, რომ ყოველივე ეს ბ-ნ ქვარიანის ოცნებაში შეთხზული ცილისწამებაა; (რაიცა მის პოეტურის ფანტაზიის ღირსებას ამდაბლებს). ამის უტყუარი საბუთები ზემოდ მოვიყვანეთ.

საბრალოა მხოლოდ ჩვენი დაბეჩავებული და დაავადმყოფებული საზოგადოება: ამ საზოგადოებაში შეიძლება მხოლოდ ასე დაუსჯელად, ასე რიხიანად და გაბედვით გამოვიდეს ვინმე. თუ გინდ ბ-ნის სვიმონ ქვარიანის პოეტურის „ნიჭით“ იყოს შემკული, და ასე „უპრაგონოდ“ მოსცხოს ჩირქი საქმის რიგიან მუშაკებს, ხოლო თავისავე უშინაარსო ლაპარაკით საქმეს ზარალი მისცეს.

კოტა აბაშიძე.

თეატრი და ხელოვნება

27 ივლისს, ნაკომარევში სცენის მოყვარეებისაგან ბ-ნ დ. კიღურაძის და ნაკომრის წიგნთ საცავის სასარგებლოდ გამართულ იქმნა წარმოდგენა. წარმოადგინეს „ქორწილი“, ტრაგედია ანტონოვისა; წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. სულ შემოვიდა 54 მანეთი და 65 კ. ხარჯი იყო 36 მან. 48 კ. დარჩა 18 მ. და 17 კ. წმინდა შემოსავალი. სცენის მოყვარეების კარგმა თამაშმა საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და მოთამაშენი ტაშის-კვრით დაჯილდოვებულ იქმნენ. უფრო მოეწონათ ქ-ნი მ. მგელაძე, ან. ნიკოლაშვილი, ელ. კალანდაძე და ბ-ნნი გრიგოლ ურატაძე, ან. ჟღენტი და ივანე კალანდაძე; პიესა „ქორწილი“ ძალიან გაცვეთილი პიესაა, ჩვენს ცხოვრებაში ამ პიესას ცოტა წილი უძევს, ამიტომ საჭიროა სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინონ [illegible] ჩვენს ცხოვრებასთან დაახლოვებული პიესები.

მქირდავი.

ოზურგეთი. თითქმის ყველა პატარა დაბაში არსებობს, შეძლების დაგვარად, აშენებული სათეატრო სახლი და ოზურგეთს-კი არაფერი არ ეშველა. სათეატრო სახლის უქონლობა დიდი დანაკლისია, რადგან თეატრი შეადგენს საზოგადოების აუცილებელს საჭიროებას. ამას წინად, როდესაც ბ-ნი ვ. გუნია მოგზაურობდა დაბა-სოფლებში, ჩვენკენ ვერ მოვიდა სათეატრო სახლის უქონლობის გამო, ოზურგეთში ბევრს ლაპარაკობენ ამ დანაკლისის შესახებ, სხდომებსაც ჰმართავენ, გარნა მაინც უთეატროდ ვრჩებით დღევანდლამდე. ნუ-თუ ასე ძნელია უბრალო სახლის შენობის აგება მაინც?

აგარაკი **ბახმარო**. (ოზურგეთის მაზრა). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც თეატრი გაკეთდა ბახმაროზე. პირველად აქ სცენის მოყვარეები ჰმართავდნენ წარმოდგენებს და ამ უკანასკნელ წლებში არტისტებმაც-კი დაიწყეს წარმოდგენების მართვა. წარსულს წელს, როგორც გაზეთებში იყო მოხსენებული, ბბ. არტისტების ურუშაძის და წუწუნავას გამგეობით პატარა დასი თამაშობდა ოზურგეთში და გურიის სხვა-და-სხვა სოფლებში. როდესაც ხალხი აგარაკად წავიდა ოზურგეთიდგან, არტისტები ბახმაროზედ ჰმართავდნენ წარმოდგენებს. წელსაც ბახმაროს მოაგარაკენი დიდის სიხარულით მოელოდნენ მათ. არტისტები წუწუნავა და ურუშაძე მოვიდნენ. არტისტები მოელაპარაკნენ კომიტეტის წევრებს, რომ მათთვის მიეცათ ქირით თეატრი. კომიტეტის წევრებმა სთხოვეს, რადგან საზოგადო დუქნის ფული არ არის გადახდილი და საზოგადოება ვალშია, გაძლევთ 70 მან. სამის წარმოდგენისათვის და ამასთან ჩვენს-თავზე ვიღებთ, ვიშოვოთ სცენის მოყვარეები და წარმოდგენის საღამოს ჩაგაბაროთ ყველაფრით გამზადებული თეატრიო.

არტისტები დაეთანხმნენ ამ პირობაზე, და დაევალა მათ, რაც შეიძლება, კარგი შინაარსიანი პიესები მიაწოდონ ხალხსო.

წარმოდგენილ იქმნა: „ეხლანდელი სიყვარული“ „ფული და ხარისხი“ და „ხანუმა“. თეატრი სამსავე წარმოდგენაზე ივსებოდა ხალხით, ხშირად, უადგილობის გამო ბევრი უკან ბრუნდებოდა. მოთამაშეთაგან ყურადღება მიიქცია არტისტმა ალ. წუწუნავამ, რომელმაც ყველა პიესებში საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა თავის თამაშით. სამი წელიწადია, რაც ბ. წუწუნავა თეატრის ასპარეზზე შრომობს. ეხლა ბ-ნი წუწუნავა, საზოგადოების დახმარებით, პეტერბურგს აპირობს წასვლას, სათეატრო ხელოვნების უკეთ შესასწავლად.

ბახმაროელი.

სამშაბათს, 6-ს აგვისტოს ჭიათურის თეატრში ბ. ალექსი-მესხიშვილის მეთაურობით ავადმყოფის არტისტის დავ. ჩარკვიანის სასარგებლოდ წარმოდგენა გაიმართება.

არტისტმა დ. ჩარკვიანმა პირველმა დაიწყო ჭიათურაში ქართულის წარმოდგენების მართვა და ამ უკანასკნელის სამის წლის განმავლობაში ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა მუშა ხალხისათვის მიეწოდებინა მარგებელი, გონებრივი საზრდო, იმ ხალხისთვის, რომელიც მოკლებულია ქალაქის სიამოვნებას. კარგის წარმოდგენებით, თავის ნიჭით და შრომით ბ. ჩარკვიანმა დაიმსახურა საერთო სიყვარული. გაიგო თუ არა საზოგადოებამ საყვარელის არტისტის ავადმყოფობა, მაშინვე დასწერეს წერილი და თითქმის ასის კაცის ხელ-მოწერით სთხოვეს ალექსი-მესხიშვილს ჩამოსვლა და წარმოდგენის გამართვა დ. ჩარკვიანის სასარგებლოდ.

პირველს აგვისტოს, გამოვიდა თუ არა აფიშები, ხალხი მაშინვე მიესია თეატრს ბილეთების შესაძენად და 3 აგვისტოს ბილეთები აღარც-კი იშოვებოდა.

გრ. კანდელაკი.

ნარკვევი

„მშაკ“ გაზეთის ამა აგვისტოს № 168 გვაუწყებს „ცხინვალელი“-ს პირით, სხვათა შორის, შემდეგს:

> „ორიოდე სიტყვა გადამწვარ ურიათა ზნე-ჩვეულებისაც უნდა ვთქვათ. ამას წინად, როგორც ყოველ დღე, როცა ურიებს გამომცხვარ პურს უნაწილებდნენ, იმათ ერთ პირად მორთეს ყვირილი და განაცხადეს კომიტეტის სხვა წევრთა წინაშე, რომ კომიტეტის სომხის წევრის ხელით პურს არ მივიღებთ, სომხებმა უკანვე წაიღონ თავიანთი შემონაწირი და მათი, ერთი კაპიკი რა არის, ისიც არ გვინდაო. აქაურს ბოქაულსა და კომიტეტის სხვა წევრებს ძლიერ გაუკვირდათ, თუ რა უნდა იყოს მიზეზი ურიების ყვირილისა, რადგან აქამდე მშვიდობიანად იყვნენ და არაფერს აცხადებდნენო. ურიათა შორის ერთს ბატონს, რომელიც შენიშნულია თავის მეშფოთარისა და შეურიგებელის ხასიათით, რომელსაც უნდა ყოველ საზოგადო საქმეში თავისი ცხვირი შეჰყოს, ეხლაც მოსვენებას არ აძლევს ის, თუ კომიტეტის წევრად თვითონ რად არ არის და თვითონ რად არ უნაწილებს პურს თავის საყვარელ ურიებს, არამედ ვიღაც სომეხია. იგი თავის თანამოაზრეთა საშუალებით აშფოთებს

мой (?) и испросить позволенія поставить на очереди этотъ вопросъ... И, вотъ, на мѣсто того, чтобы пригласить такого человѣка (ოჰ, ოჰ,) на совѣщаніе, чтобы попросить (?) его быть членомъ учредителемъ и. т. п. რა „такого“ ბრძანდება ბ-ნი სვ. ქვარიანი, ამას თვითვე გვიხსნის: „человѣка, имѣющаго имущественный цензъ (?), такъ беркорыстно поработавшаго (?) на 3-емъ съѣздѣ для интересовъ чіатурскихъ М. промышленниковъ; создавшаго въ Чіатурѣ нѣсколько союзовъ изъ промышленниковъ и стоящаго сейчасъ во главѣ трехъ синдикатовъ (?) подъ названіями „Начало“, „Шрома“, и „Шукрути“ (ჰა, ჰა, ჰა, სად არიან ეხლა, ნეტავი ეს სინდიკატები?!) და რატომ არ მიიწვია საბჭომ (ე. ი, იმავე ბ-ნმა ზდანოვიჩმა), ეს მისი სეკრეტიაო: этого секрета я не ищу и не хочу знать, ибо онъ и безъ того понятенъ всѣмъ“. (12 მაისი 1901 წლის თარიღი აქვს).

[3] ბ-ნ სვ. ქვარიანს, რომ გამგეობაში ჩადგომა უნდოდა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ, როგორც-კი წესდებაში შეიტანეს ის მუხლი (12 მუხ.), რომელიც ამბობს: „პირველ წელიწადში გამგეობის წევრად ვერ აირჩევა ვერც ერთი წევრი ამხანაგობისაო“, ბ-ნმა ქვარიანმა განცხადება შეიტანა, განმათავისუფლეთ ამხანაგობისაგანაო. მაგრამ ამავე საორგანიზაციო კომისსიამ, რომელიც ვითომ და ბ-ნ ქვარიანის ხელქმნილი იყო, დაადგინა, ამ საგნის გარდაწყვეტა გამგეობის არჩევამდის გადაიდვასო. რა ირონიაა. აშკარაა, კომისსიას ეჭვი აუღია, რომ ბ-ნ სვ. ქვარიანს გამგეობის წევრობის საღერღელი ჰქონდა აშლილი.

ავტ.

[4] წარმომადგენელნი აღჭურვილნი არიან ვექილობით, რომელნიც ნებას აძლევს მათ თავისი შეხედულობის თანახმად განაგონ ამხანაგების საქმე. თუ ჭიათურაში წაიკითხეს, უთუოდ პირობის პროექტი წაიკითხეს, რომლის მუხლების შეცვლა წარმომადგენელთა კანონიერ უფლებას შეადგენდა. ხოლო 19 კაცს რანაირად დააძალეს ხელის მოწერა, ეს ბ-ნმა ქვირიანმა განგვიმარტოს.

ავტ.

[5] „საგანგებო კრებას შეიძლება მოუწოდოს გამგეობამ მოუცილებელის საჭიროებისა გამო და აგრეთვე, თუ ამას წერილობით მოითხოვს მესამედი ამხანაგობის ყველა წევრთა“. მაგრამ კიდევაც რომ იშოვოს 60 კაცის ხელ-მოწერილი თხოვნა კრების დანიშვნისა, ბ-ნ ქვარიანს ტყვილა აქვს იმედი ამ კრებისა. გამგეობის არჩევანს უფლება აქვს მორიგ, წლიურ კრებას (მუხ. 25 ნ.) და იმ კრებას, რომელსაც მოიწვევს საბჭო ბ-ნ ზდანოვიჩის თანხმობით (12 მუხ. შენიშვ.) ამ საგნისათვის. საგანგებო კრებას-კი ეს უფლება არა აქვსო.

[6] ოჰ, ეს „ღვლერჭიც“ ნეტა რა ღვლერჭია. ვექსილების გაცემა. მაშ, როგორ? სინდიკატს ფული ტყუილა უნდა მიეცა და ვექსილიც არ წაელო ხარჯის გასამართლებელ საბუთად მაინც?! (ამგვარები-კი ბ-ნ ქვარიანს არ უყვარს) და მერე გულახდით მიბრძანოს ბ-ნმა ქვარიანმა, რამდენ ვექსილს გავსცემდით მე და ის, თუ ჩვენი ვექსილები მაგრე ადვილად განაღდებოდა ბერლინის ბირჟაზედ?

ურიებს, გამავრცელებელი სომეხთა შესახებ ათასნაირის უსაფუძვლო ხმისა„.

მიზეზად, როგორც მოგვითხრობს კორესპონდენტი, იმ ისრაელს მაზრის უფროსის წინაშე უთქვამს ის,

„რომ ვითომც სომხის წევრნი პატიოსნებად არ სთვლიან ისრაელების დახმარებას და ისრაელების შესახებ თავიანთ შორის ცუდ ხმებს ავრცელებენო.

ამას რა გადმოგვცემს კორესპონდენტი, დასძენს,

„იმ დღეს „მშაკში" სამართლიანად იყო შენიშნული (ბ-ნ ლიუნის წერილში, რომელიც „ივერიამ" გადაბეჭდა), რომ ოსმალო, ქართველი და თვით ურიაც-კი ისე ფიქრობენ, თუ სომეხი აღარ იქმნა, მაშინ ქვეყანა სამოთხედ გადიქცევა და თითონ ბედნიერად იცხოვრებენო. მაგრამ ჩვენ ამას ვიტყვით, რაც გადიწვნენ ისინი, სრულიად ვაჭრობა, ალებ-მიცემობა ხელში ჩაუვარდათ სომხებს; აი რა აწუხებს იმათ".

ეხლა ისრაელის ხელიც ამოუკითხავს ბ-ნ ცხინვალეცის იმ ჯადო-რეცეპტზე, რაზედაც ოსმალოსა და ქართველს დაუწერიათ თურმე „სიკვდილი და აოხრება სომხებსაო". რა-კი ასეთი ხელის გამრჩევი ყოფილა, კარგი იქნება "მშაკ"-ის დამქაში შეგვატყობინებდს, ზედ კიდევ ხელი ხომ არავის უწერია.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების შუამდგომლობით სოფელ ხარაგაულში მივიღეთ მთავრობისაგან ნებართვა უფასო წიგნ-საცავ-სამკითხველოს გახსნისა. სამკითხველო კიდეც გაიხსნა, მაგრამ საშუალება მისი როგორც ფულით, ეგრეთვე წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით ამ თავიდგან ისეთი უმნიშვნელოა, რომ მკითხველთა მცირედ რიცხვსაც ვერ დააკმაყოფილებს. ამისათვის მივმართავთ თქვენი გაზეთის საშუალებით ყველა საზოგადოებას და იმ პირთ, რომელთაც გული შეტკივა ყოველ ამ ნაირ დაწესებულებისათვის და ვთხოვთ შემწეობა აღმოგვიჩინონ, რითაც-კი შეიძლება ამ საქმის გაღონიერება, რომ მან მიაღწიოს თავის სამპატიურ მიზანს. ქართული რედაქციები დარწმუნებული ვართ უფასოთ თუ არა, დაკლებული ფასით მაინც დაგვითმობენ თავიანთ გამოცემებს, რითაც იგინი დიდს და დაუვიწყარ შემწეობას მიცემენ ნორჩს და ახლად დაარსებულ წიგნ-საცავ-სამკითხველოს. სრული მოიმედე თქვენი ჩვეულებრივი ყურადღების ამ თავითვე უღრმეს მადლობას შემოგწირავთ.

ს. ხარაგაულის წიგნ-საცავ-სამკითხველოს საზოგადოების რჩევის თავმჯდომარე კნეინა ელენე ნიკოლოზის ასული ლორთქიფანიძისა.

„ივერიის" ფოსტა:

ქუთაისს, ს. თ. გ—ძეს.—თქვენი ,,გაქცეული'' არ დაიბეჭდება.

იქვე, გალმა სილელს.—თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

იქვე, ს. ბ—რს.—თქვენი ,,ოცნება'' და ,,ლოცვის სიტკბოება'' არ დაიბეჭდება.

ონიოსს,—თქვენი ,,უცნაური საღამო'' არ დაიბეჭდება.

ე. მ—ისას,—თქვენი ,,საზარელი სურათი'' არ დაიბეჭდება.

მ. ს. ბ—ს. თქვენი ,,თბილ-თბილ კლდეებზე'' არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

3 აგვისტო

ბერლინი. გაზეთების სიტყვით, პოზნანში აღლუმებს დაესწრებიან ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და 50 რუსის ოფიცერი.

ლომჟა. კოლნენსკის მაზრაში სეტყვამ წაახდინა 2,000 დესეტინა ნათესი, 30,000 მანეთად ღირებული. ქარმა ამოჰგლიჯა და დაამტვრია ხეები 7,000 მანეთისა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნატორმა წინადადება მისცა საერობო კრებას, ღონისძიება მიიღეთ არდატოვის მაზრის მცხოვრებთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, რადგანაც მოსალოდნელია, რკინის გზის ქარხნები ამ მაზრაში დაუქმდესო. კრებამ შეიწყნარა გამგეობის მოხსენება საზოგადო სამუშაოს მოწყობის შესახებ და დაადგინა, სთხოვოს მთავრობას 150,000 მან. ამ სამუშაოთათვის.

ნიჟნი-ნოვგოროდი. გუბერნატორმა უნტერბერგერმა თავის სიტყვაში, რომელიც ვაჭართა წარმომადგენლების კრებაზედ წარმოსთქვა, ურჩია კრებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ საიარმუკო გადასახადის გაწერის მომავალ წლისათვისაო.

4 აგვისტო

ვერჟბოლოვო. 2 აგვისტოს გაიარა საზღვარ-გარედ მიმავალმა მიწად-მოქმედების მინისტრმა.

ლონდონი. პორტსმუტში მოვიდნენ ბურთა გენერლები: ბოტა, დევეტი და დელარეი. სოუტ-გამპტონში არ გაჩერებულან, მაშინვე გაემგზავრნენ ლონდონს, შემდეგ გადავიდნენ გემ „ნიგერია"-ზედ. აქ მისალმა კიტჩენერი და გააცნო ისინი რობერტს და ჩემბერლენს.

ხარკოვი. ქვა-ნახშირის და რკინით ვაჭრობის ბირჟის წევრთა კრებამ დაამტკიცა მაკლერების ინსტრუქცია, ნიხრი ბირჟის გადასახადისა და ხართ-აღრიცხვა.

ლონდონი. გაზეთებს სიმლიდან მოსვლიათ ცნობანი, რომ გამოიცა სასტიკი განკარგულება, მოეთხოვოთ დამამტკიცებელი საბუთები იმისა, თუ საქონელი სადაურია, რათა ხელი შეუშალონ შაქარზე დადებულ ხარჯის თავიდან აცდენას, რომლის გატანისათვის პრემიაა დანიშნული.

ბელგრადი. ბულგარიის მინისტრმა სხვა დროსთვის გადასდო ბელგრადში წამოსვლა.

სოფია. მაკედონიის წინანდელ კონგრესის მოწინაალმდეგენი 4 აგვისტოს გამართავენ მეორე კონგრესს. ახალ კონგრესს დაესწრება 60 წარმომადგენელი.

პეტერბურგი. როდესაც ხელმწიფე იმპერატორს მოახსენეს ხარკოვის გუბერნატორის მოკვლის განზრახვა, მისმა იმპერატორებითმა უდიდებულესობამ კეთილ ინება შტალმეისტერის თავად ობოლენსკის გაბედნიერება შემდეგის დეპეშით: „გულწრფელად გილოცავთ სიკვდილისაგან გადარჩენას, ვმადლობ ღმერთს თქვენის სიცოცხლის დაცვისათვის. დიდად ვაფასებ თქვენს ერთგულს და თავგამოდებულს სამსახურს ჩემდა და სამშობლოს წინაშე.

ფინანსთა სამინისტრო აცხადებს, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა პეკინში განიხილეს საჩივარი რუსეთის იმ ქვეშევრდომთა, რომელთაც ჩინეთის მთავრობას მოსთხოვეს 1900 წლის არეულობისაგან მომხდარ ზარალის აღდგენა, რომელი საჩივარიც კანონიერად იცნო კომისიამ, დაკმაყოფილებული იქნება რუსეთის სახელმწიფოს 1902 წლის 4% სესხით. ვისაც ზარალის აღსადგენი ფული მისაღები აქვს, უნდა ფინანსთა სამინისტროს კანცელარიას ქაღალდით მიჰმართოს.

სამხედრო-საექიმო მთავარ-ინსპექტორის გარდაცვალებულის რემერტის თანამდებობის ასრულება დროებით დაევალა ტაინი სოვეტნიკს სპერანსკის.

3 აგვისტოს სტრელნას მოვიდა მეკლენბურგ-შვერინის დიდი ჰერცოგი და მიხაილოვკას წავიდა, სადაც ბინა ექმნება.

ტიანძინი. 3 აგვისტოს ტიანძინი ჩინეთის მთავრობას გარდასცეს.

პეკინი. ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულობას ისეთნი დაბრკოლებანი გადაელობა წინ, რომ შესაძლებელია კიდევ რთული მოლაპარაკება გამოიწვიოს. ბაჟების მომატებას ეწინააღმდეგებიან ამერიკა და იაპონია. ხელშეკრულობის იმ დადგენილებას, რომელიც საიმპერატორო სადამოჟნო მმართველობის უფლებას უფრო აფართოებს, წინააღმდეგობას უცხადებს რუსეთი, იმიტომ, რომ ჩინეთ-ინგლისის შეთანხმებით, ამ დაწესებულების გამგე-უფროსად ინგლისელი უნდა იყოს. დასასრულ პორტუგალიის წარმომადგენელმა გამოაცხადა, რადგან პორტუგალიას განაჩენზე ხელი არ უწერია, თავისუფლად შემოიტანს თავისს საქონელს ჩინეთში, მხოლოდ იმ ბაჟების გადახდით, რომელიც პორტუგალიასა და ჩინეთს საკუთრივ ხელშეკრულობაში აქვთ დაწესებული და არა იმ მომეტებულის ბაჟით, რომელიც განაჩენში აღნიშნულიო.

5 აგვისტო.

მოსკოვი. ჩაყარეს საძირკველი განუკურნებელ ავადმყოფთა სამკურნალოსი, რომელიც შენდება ქ ნ მედვედნიკოვის საფასით; ქ-ნ მედვედნიკოვისას ამ საქმისათვის ორი მილიონამდე უანდერძნია.

კუოპიო. ფინლიანდიის არქიეპისკოპოსმა აკურთხა საძირკველი ახალის ტაძრისა წმ. ნიკოლოოზის სახელობაზედ.

ყარსი. გვალვამ, სეტყვამ და სიცივემ ძლიერად დაამცირა ჰირნახული გამოსავალი. ყინვისა და სეტყვისაგან გამოწვეული ზარალი 80,000 მან. აღემატება.

ნიჟნი-ნოვგოროდი. იარმუკის დროს მოწვეულ იქნება მეჭარხნეთა კრება რუსეთის დამზღვევ კავშირის მოსაწყობად, რომელსაც საგნად ექნება დაზღვევით უზრუნველ-ჰყოს უძრავი ქონება, სავაჭრო საქონელი და ქარხნის მუშები.—ამ უკანასკნელ დღეებში იარმუკაზე სამანუფაქტურო ვაჭრობა მიწყნარებულია.

ბრესტი. დეკრეტი სასულიერო სკოლების წინააღმდეგ აღსრულებაში იქნება მოყვანილი ორშაბათს ფელგოეტში, პლუდამულში და სენტ-მიენში.

ლანდერნო. აქ იკრიფება ჯარი. პონკრუაში დედაკაცებმა სცემეს პოლიციის კომისარსა.

ლონდონი. ბურთა გენერლების მისვლამ ძლიერი მანიფესტაცია გამოიწვია: დიდძალი ხალხი მხურვალედ მიეგება გენერლებს ვოკზალზედ: ისმოდა ასეთი სიტყვები: „კეთილი და პატივ-მოსილი დევეტი, და ყველა მამაცი ჩვენი წინანდელი მტრები ახლა ჩვენი მეგობრები არიანო". ხალხი ისე შემოეხვია დევეტს, რომ პოლიციას ძლივს გაუვლია გზა. გენერბულნი იძულებულნი გახდნენ მატარებლისათვის გზის შემოევლოთ, რომ ვოკზალიდგან გასულიყვნენ. ხალხი მათ ეტლს უკან გაჰყვა. 4 აგვისტოს (17 აგვისტოს) ბურთა გენერლები წავიდნენ კოუს მეფის სანახავად, მისგან იახტაზედ მიწვეულნი.

კალუგა. დღეს კალუგის მაზრიდგან კალუგაზედ გაიარა დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ მდინ. ოკის დაყოლებით.

ალექსანდროვსკი. სამეცნიერო და სამრეწველო ექსპედიციის გემი „ანდრია პირველ წოდებული", დაბრუნდა ორი კვირის მოგზაურობის შემდეგ. განვლილია მანძილი: ალექსანდროვსკ-მატოჩკინ-შარ და აქიდგან ახალ მიწის სისწვრივ 76½ გრადუსამდე; განვლილია 1592 მილი.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბძანებია, დროებით მომატოს ბაჟსა, დაწესებულია ჩაიზედ: ბაიხოვისა, შაჯსა, ყვავილოვანსა, მწვანესა და ყვითელზედ, რომელიც შემოაქვთ სემირეჩენსკის ოლქის, სტეპნოისა ირკუტსკისა და პრიამურსკის საგენერალ-გუბენრნატორო მხარეთა საზღვრებზედ,—ფუთზედ სამი მანეთი, ე. ი. ბაჟი მიაღწევს 25 მან. 50 კაპ. ფუთზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 2 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	—
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96⅞ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	465½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	353 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	289¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9625 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბაქო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბათუმი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბორჯომი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე)	9 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—3)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ მან დაჰნიშნა 12 აგვისტოსათვის 1902 წლ. დილის 12 საათზედ ვაჭრობა 400 საჟენის საწვავ შეშის იჯარით მისაცემად ერთის წლის განმავლობაში. შეშა უნდა იყოს ოთხად გასაჭრელი. ეს შეშა დასჭირდება ქალაქის დაწესებულებათა, ტფილისის ადგილობრივ კომანდას და ტფილისისავე საკომენდანტო მმართველობას.

ვისაც სურს აიღოს იჯარით ამ შეშის მოტანა, შეუძლიან საჭირო პირობის შეტყობა გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე 2 საათამდე, კვირა-უქმე დღეებს გარდა.

(3—6.—1)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ

კავკავის სკოლაში ორი თავისუფალი ადგილია მასწავლებლისა.

გალობა-სიმღერის ცოდნა სავალდებულოა. ვისაც სურს ხსენებულის ადგილების დაჭერა, მან უნდა წარმოუდგინოს საჭირო დოკუმენტები თხოვნასთან ერთად ან საზოგადოების გამგეობას, ან თვითონ კავკავის სკოლის გამგეს ბ. პართენ ალექსანდრეს ძე გოთუას.

ბორჩალოელ ქართველთა გულის-შემატკივართა მიმართ.

ახალშენ ეკატერინენფელდში (ბორჩალოს მაზრა), სადაც ნემცებთან ერთად მრავალი ქართველობა სცხოვრებს, გადმოსახლებული სოფლად საშინელის გაჭირვებისა გამო და მკვებავი გატანჯულის ცოლ-შვილისა დღიურის მუშაობით, არ არსებობს ეკკლესია ღვთისა, რომელშიაც ნივთიერად დამარცხებულ ერს შეეძლოს აღორძინდეს სულიერად მაინც და დააკმაყოფილოს თავისი რელიგიური გრძნობა-მოთხოვნილება.

უეკკლესიობისა გამო ქართველი გლეხი ხალხი და მასთან ყველა ისინიც, რომლებიც მსახურობენ აქ სხვა-და-სხვა მმართველობაში, დაიარებიან ნემცთა ეკკლესიაში, სადაც თვით მოზრდილები და მეტადრე, ნემცურის ენის მცოდნე ახალთაობა, ისმენს ლიუტერის განდგომილს სწავლას.

ქრისტეს მიერ საყვარელნო ძმანო! მოგეხსენებათ, რა შედეგსაც მიგვწევს ეს სამწუხარო ამბავი, თუ ასე გაგრძელდა. ასაცილებლად იმ შემაძრწუნებელ შედეგისა, ჩვენ მოვიწადინეთ აღვაშენოთ აქ მართლ-მადიდებელთა ეკკლესია. მთავრობამ უყურადღებოდ არ დასტოვა ჩვენი კეთილი დაწყობილება და იმის დახმარებით შევაგროვეთ ორმოც თუმნამდე. ადგილობრივი მემამულენი გვპირდებიან ტყე-მასალას და ასაშენებელ ქვას უსასყიდლოდ, რომლის მოტანა იკისრეს თვით ნემცებმა. ასე, რომ განსახორციელებლად ამ აზრისა, გვჭირდება კიდევ იმდენი ფული, რაც შეგროვილია ამ ჟამად. ეკკლესია იქმნება მინაურის ეკონომიით აშენებული, რომლისათვის კომიტეტმა შეიძინა სამასი ოთხ.-კ. საჟენი მიწა შუა ახალშენში უმაღლესის მთავრობის ბრძანებით.

ამისათვის, როგორადაც თვით ქართველი ერი, აგრეთვე მთავრობისაგან დადგენილი და დამტკიცებული კომიტეტი იყრის მუხლს გულისა თვისისა და ლმობიერად სთხოვს ყველა ქრისტეს მოყვარე ქართველს, რომელნიც-კი ჩახედულ არიან ბორჩალოელ ქართველთა ერის მწარე ხვედრ ცხოვრებაში,—აღგვიმართონ მკლავი მოწყალებისა და შეგვეწიონ ღვთის გულისათვის, ვისაც რით შეუძლიან. მათი სახელები იქნება სამუდამო მოსახსენებლად აღბეჭდილი მომავალ ეკკლესიის საკურთხეველსა შინა.

თავმჯდომარე კომიტეტისა, ქვეშის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიის მღვ. სტეფანე ბაიდოშვილი.

კომიტეტის წევრნი:	მკურნალი—ვლ. ინაევი გამომძიებელი—Мих. Вас. Чиловъ ბოქ. გიორ. ი. თ. ანდრონიკაშვილი მწარმ. საქ. ი. ი. თ. ციციშვილი.

ადრესი შემოწირულებათა: *Черезъ Шулаверы, Комитету по постройкѣ Екатериненфельдской православной церкви.*

ახალი გამოცემანი

წერა-კითხვის საზოგადოებისა

თავდადებულნი ქართველნი, ისტორიული მოთხრობანი იაკობ გოგებაშვილისა, მეორე სურათებიანი გამოცემა, ფასი შვიდი კაპეიკი. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 6 კაპეიკად, ვინც ოცობით—შაურად.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, მესამე სურათებიანი გამოცემა, ფასი ერთი შაური. ვინც ათობით იყიდის, წიგნაკი დაეთმობა 4 კაპ.

(6—3)

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი", რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბულდავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუკლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა (კორესპონდენცია)** 4) **სავექილო და სავაჭრო მართლმსაჯულება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველ-დღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ. (25—379—13)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.